თბილისის „დინამოს“ საკონტროლო მატჩები

შავი ზღვის სანაპირო ქალაქებში სეზონისწინა მზადებას გადიან ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები, უკვე დაიწყო საკონტროლო შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა ამ დღეებში ორი საწვრთნელი მატჩი გამართეს. პირველად ისინი ცსკა-ს შეხვდნენ და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. სამივე ბურთი გურულმა გაიტანა.

ჩვენმა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, მიქაბერიძე (ფირცხალავა), ჭედია, ცხადაძე, არზიანი, სვანაძე, ფანცულაია, ცვეიბა, ტყებუჩავა, (კორღალიძე), გურული, მესხი (ქეცბაია).

რედაქციამ საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოდან მეორე ცნობაც მიიღო თბილისის „დინამოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ საკონტროლო მატჩის შესახებ. დინამოელებმა ეს თამაში მოიგეს - 2:0. ორივე ბურთი კვლავ გურულმა გაიტანა.

თბილისის „დინამოს“ შემადგენლობა: გაბელია, მიქაბერიძე, ცვეიბა, სვანაძე, არზიანი, კორღალიძე, ჭედია, ტყებუჩავა, აჯოევი, გურული, ქეცბაია.

ლელო 26.01.1988